

Protamino Pregna

Art. Nr. 7924

კვებითი შემავსებელი მაკე ღორებისთვის

შემადგენლობა:

რაფსის ექსტრაქტის შროტი, სოიოს ექსტრაქტის შროტი, კალციუმის კარბონატი, ნატრიუმის ქლორიდი, მონოკალციუმფოსფატი, მაგნიუმის სულფატი.

ხარისხობრივი მახასიათებლები:

27,0% ნედლი ცილა, 1,3% ნედლი ცხიმი, 7,0% ნედლი უჯრედანა, 32,0% ნედლი ნაცარი, 8,0% კალციუმი, 1,2% ფოსფორი, 1,8% ნატრიუმი, 0,5% მაგნიუმი, 2,5% ლიზინი, 1,0 % მეთიონინი+ცისტინი, 1,15% ტრეონინი, 0,36% ტრიპტოპანი, 1,0 % გოგირდი, ტენიანობა 12% -მდე, ME მეტაბოლური ენერჯია ღორებისთვის – 8,0 მგჯ.

შემადგენელი ნივთიერებები/კგ:

კვებითი დანამატები:

135.000 i.E. ვიტამინი A (3a672a), 20.000 i.E. ვიტამინი D3 (E 671), 800 მგ ვიტამინი E / ალფა - ტოკოფეროლაცეტატი (3a700), 33 მგ ვიტამინი K3, 20 მგ ვიტამინი B1, 50 მგ ვიტამინი B2, 33 მგ ვიტამინი B6 / პიროდოქსინჰიდროქლორიდი (3a831), 333 µg ვიტამინი B12, 4.000 µg ბიოტინი, 117 მგ კალციუმ-D-პანტოტენატი (3a841), 267 მგ ნიაცინი (3a314), 4 მგ ფოლიუმის მჟავა, 10.000 მგ ქოლინ ქლორიდი (3a890), 800 მგ რკინა (E 1) როგორც რკინის-(II)-სულფატ მონოჰიდრატი, 1.450 მგ თუთია (E 6) როგორც თუთიის ოქსიდი, 800 მგ მანგანუმი (E 5) როგორც მანგანუმის-(II)-ოქსიდი, 130 მგ სპილენძი (E 4) როგორც სპილენძის-(II)-სულფატ პენტაჰიდრატი, 20 მგ იოდი (E 2) როგორც გაუწყლოებული კალციუმის იოდატი, 5 მგ სელენი (E 8) როგორც ნატრიუმის სელენიტი.

ზოოტექნიკური დანამატები: 5.500 FYT 6-ფიტაზა EC 3.1.3.26 (E 1614 (i))

Protamino Pregna -ს მოხმარების წესი

Protamino Pregna წარმოადგენს **8%-იან** კონცენტრატს მაკე ღორებისთვის.

რეკომენდაციები მაკე ღორების კვებისთვის:

დედა ღორის პირველი დამაკვებება უნდა მოხდეს 7-8 თვის ასაკში, 130-140კგ ცოცხალი წონით. მანამდე კი იგი მომწიფების პერიოდშია და ადრეულ ასაკში განაყოფიერება იწვევს არასასურველ შედეგებს.

ენერგიის მაღალი შემცველობის გამო მაკე ღორის საკვებში აუცილებლად უნდა შემცირდეს სიმინდის და გაიზარდოს ქერის შემცველობა. მაკეობის დაწყებიდან 35 დღე რეკომენდირებულია ღორის ცალკე კაბინაში მოთავსება, არასასურველია სხვა ღორებთან ერთად ყოფნა ან სადგომის შეცვლა. ამ პერიოდში მზა საკვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2,7 კგ-ს, ემბრიონი მატებას იწყებს მხოლოდ მაკეობის საწყისი ფაზის შემდგომ, ანუ 35 დღეში.

ზედმეტმა მოძრაობამ შეიძლება გამოიწვიოს მაკეობის შეწყვეტა. მაკე ღორმა არ უნდა მოიმატოს ზედმეტი წონა, რათა არ გაჭირდეს და გახანგრძლივდეს გოჭების დაყრის პროცესი. მშობიარობის პერიოდი საშუალოდ უნდა მიმდინარეობდეს 3-4 საათი.

რეკომენდირებული რაციონი:

ქერი ----- 200 კგ
სიმინდი ----- 50 კგ
ხორბალი ----- 35 კგ
Protamino Pregna ----- 25 კგ

მაკეობის 1 – 35 დღე მიზანშეწონილია 2,7კგ სრული საკვები ; $2,7 \times 35 = 94,5$ კგ

მაკეობის 35 – 100 დღე მიზანშეწონილია 3,2კგ სრული საკვები ; $3,2 \times 65 = 208$ კგ

მაკეობის 100– 114/116 დღე მიზანშეწონილია 3,5კგ სრული საკვები ; $3,5 \times 16 = 56$ კგ

მაკეობის პერიოდში სრული საკვების რაოდენობა შეადგენს $94,5 + 208 + 56 = 360$ კგ-ს

აქედან საშუალოდ: 8% Protamino Pregna ანუ საშუალოდ 30კგ

92% მარცვლეული, საშუალოდ 330კგ